



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება

N 344/3

04/12/2017

„საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 8 სექტემბრის №79/3 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“ და „პ“ ქვეპუნქტებისა და 278-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

1. „საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 8 სექტემბრის №79/3 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესის“ მე-5 მუხლის მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. პარლამენტის აპარატის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტში სამუშაოდ მიღებული უნდა იქნენ უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომელთაც აქვთ ადამიანური რესურსების მართვის ან პროგრამირების სფეროში ან საერთაშორისო ან/და დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება. საიდუმლო საქმისწარმოების განყოფილებაში სამუშაოდ მიღებული უნდა იქნენ უმაღლესი განათლებისა და განყოფილების სპეციფიკის შესაბამისი მუშაობის გამოცდილების მქონე პირები.“.

2. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2017 წლის 7 დეკემბერს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე